



ანზორ თოთაძე

**საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის
აღწერის პირითადი შედეგები**

2014 წელს, 5-დან 19 ნოემბრის ჩათვლით საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ჩვენი ქვეყნისათვის აღწერის შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამჟამად ერის ყველაზე დიდი სატკივარი მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა.

**საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა
1989, 2002 და 2014 წლებში**

(2002 და 2014 წლები – ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი ტერიტორია)

	1989		2002		2014		სხვაობა 1989-2014 წლებში	სხვაობა 2002-2014 წლებში
	აბსოლუტურად	%-ით მიუღწეველ მოსახლეობაში	აბსოლუტურად	%-ით მიუღწეველ მოსახლეობაში	აბსოლუტურად	%-ით მიუღწეველ მოსახლეობაში		
საქართველო	5 400 841	100,0	4 371 534	100,0	3 713 804	100,0	-1687 037	-657 731
თბილისი	1 246 936	23,1	1 081 678	24,7	1 108 717	29,9	-138 219	+27 039
ქვემო ქართლი	608 491	11,3	497 530	11,4	423 986	11,4	-184 505	-73 544
კახეთი	441 045	8,1	407 182	9,3	318 583	8,6	-122 462	-88 599
შიდა ქართლი	321 598	6,0	314 039	7,2	263 382	7,1	-58 216	-50 657
სამცხე-ჯავახეთი	235 512	4,4	207 598	4,7	160 504	4,3	-75 008	-47 094

ანზორ თოთიაძე

მცხეთა-მთიანეთი	121 791	2,2	125 443	2,9	94 573	2,5	-27 218	-30 870
ცხინვალის რეგიონი	98 527	1,8	-	-	-	-	98 527	-
აღმოსავლეთ საქართველო	3073 900	56,9	2633470	60,2	2369745	63,8	-704 155	-263 725
იმერეთი	766 892	14,2	699 666	16,0	533 906	14,4	-232 986	-165 760
აფხაზეთის არ	525 061	9,7	კოლორი 1956	0,0	-	-	-525 061	-1956
სამეგრელო-ზემო სვანეთი	424 746	7,9	466 100	10,7	330 761	8,9	-93 985	-135 339
აჭარა	392 432	7,3	376 016	8,6	333 953	9,0	-58 479	-42 063
გურია	158 053	2,9	143 357	3,3	113 350	3,0	-44 703	-30 007
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59 757	1,1	50 969	1,2	32 089	0,9	-27 668	-18 880
დასავლეთ საქართველო	2 326 941	43,1	1738064	39,8	1344059	36,2	-982 882	-394005

2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 3 713 804 კაცი შეადგინა და წინა, 2002 წლის აღწერასთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობა 657 731 კაცით შემცირდა. თბილისის გარდა ყველა რეგიონში საგრძნობლად დაიკლო მოსახლეობის რაოდენობამ. თბილისის მოსახლეობის მატებაც (2,5%, 27 039 კაცით) მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ზოგიერთი სოფლის თბილისთან შემოერთებამ განაპირობა. წინა, 2002 წლის აღწერასთან შედარებით მოსახლეობა ყველაზე მეტად შემცირდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (37,4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (29,0%) რეგიონებში, ხოლო ყველაზე ნაკლებად – აჭარაში (10,6%). აბსოლუტური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი კლება ქვეყნის ყველაზე ხალხმრავალ რეგიონში – იმერეთში დაფიქსირდა. გასული 12 წლის განმავლობაში 165 760 კაცით შემცირდა. ასე რომ გაგრძელდეს (და ეს ღმერთმა ნუ ქნას), 30 წელიწადში, და შეიძლება გაცილებით ადრეც, იმერეთი მოსახლეობისაგან დაიცლება. ანალოგიური ბედი მოელის სამეგრელოს, გურიასა და

სხვა რეგიონებსაც. აღარაფერს ვამბობთ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე, რომელიც, ფაქტობრივად, გაუკაცრიელდა.

განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით მეორე ქალაქის – ქუთაისის მოსახლეობის ყოველწლიური კლება და თანაც დიდი რაოდენობით.

2014 წელს ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობა 148 ათას კაცს შეადგენდა, 2002 წელს – 186 ათასს, ხოლო 1989 წელს – 233 ათას კაცს. ამრიგად 2014 წელს ქუთაისის მოსახლეობა შესაბამისად 38 ათასი და 85 ათასი კაცით შემცირდა. ქუთაისს უკვე მოსახლეობის რაოდენობით გაუსწრო ბათუმმა (რომელსაც უკანასკნელ წლებში ახლომდებარე სოფლის ტიპის დასახლებები შეუერთდა), რომლის მოსახლეობა 2014 წელს 153 ათას კაცს უდრიდა. ასეთი ვითარება 1920-იან წლებშიც დაფიქსირდა. 1922 წელს ბათუმის მოსახლეობა 61 ათასი კაცი გახდა. ამ წელს ბათუმი უკვე ყველაზე დიდი ქალაქი იყო ქვეყანაში თბილისის შემდეგ.

1922 წელს საქართველოს დიდ ქალაქებში, კერძოდ, ქუთაისში 45290 კაცი ცხოვრობდა, სოხუმში – 17426, ფოთში – 11358 და ახალციხეში – 10153 კაცი. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს ბათუმი მოსახლეობის რაოდენობით რუსეთის იმპერიაში შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე დიდი ქალაქი იყო ოდესის შემდეგ.

მოსახლეობის ორ უკანასკნელ აღწერას შორის (2002-2014 წლებში) მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქისა და განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობა. 2014 წელს ქალაქის მოსახლეობამ 2 122 623 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ 1 591 181 კაცი შეადგინა და 2002 წელთან შედარებით შესაბამისად 162 173 და 495 558 კაცით შემცირდა.

ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში თითქმის 500 ათასი კაცით შემცირდა სოფლის მოსახლეობა, ხოლო 1989 წელთან შედარებით – 818 308 კაცით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი დაიცალა ფერტილური ასაკის მოსახლეობისაგან – მათი დიდი ნაწილი ქალაქად გადასახლდა, ხოლო ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა. ამის შედეგად სოფლად საგრძნობლად შემცირდა დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა და სახლკარიც და მარჩენალი მიწაც უპატრონოდ დარჩა, სოფელი გაჩანაგდა. საკმარისია ითქვას, რომ 1970-1979 წლებში, საქართველოში 792 371 ბავშვი დაიბადა, აქედან სოფლად – 390 721 ბავშვი, ანუ ნახევარი – 50,7%. 2000-2009 წლებში, ისევე ათწლიწადში, კი საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობამ 502 296 ბავშვი

შეადგინა, აქედან სოფლად 153 379 ბავშვი დაიბადა, ანუ 30,5%. კახეთში ამავე პერიოდში სოფლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 60 943-დან 20 614 ბავშვამდე შემცირდა.

სოფლის მოსახლეობის შესახებ დამატებით აუცილებელია იხიცი ითქვას, რომ ცალკეული რეგიონები საერთოდ იცლება სოფლის მოსახლეობისაგან. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 2002-2014 წლებში განსაკუთრებით შემცირდა სოფლის მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, 283 157 კაცით, მაშინ როდესაც ამ მაჩვენებელმა აღმოსავლეთ საქართველოში 210 445 სოფლის მცხოვრები შეადგინა.

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით რთულია შენი მიწა-წყლის, კულტურის, ეროვნული და სულიერი ცხოვრების დაცვა, როდესაც კოსმოპოლიტობის ამღვრეული მორევი ჩათრევას და შთანთქმას გიპირებს, როდესაც ამ სენით იწამლება ახალგაზრდობა და როდესაც ამ ყველაფერს არა მარტო უცხო ძალები გვახვევენ თავს, არამედ ჩვენი სისხლი და ხორციც ჩართულია ამ პროცესში; თავგამოდებით იბრძვის იმ ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ, რისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე. სხვაგვარად როგორ ვისაუბროთ „რუსთავი 2“-ისა და გარუსთავორებული ტელეარხების პოლიტიკურ თუ გასართობ პროგრამებზე, თუნდაც „ნიჭიერზე“, „იქსფაქტორზე“, „პროფილზე“, „სხვა რაკურსზე“, გაუთავებელ თურქულ და ინდურ სერიალებზე, რომლებმაც გზა გადაუკეტეს ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას. პირველყოფილი ადამიანების როკვამ და მხოლოდ უცხოურმა სიმღერებმა, პრიმიტიული აზროვნების და საეჭვო რეპუტაციის მქონე ჟურნალისტებმა და სხვადასხვა პროგრამების ჟიურის წევრებმა წალეკეს ტელევიზიების ეკრანები, თავზე წამოიცივეს საქართველოს ზნეობა.

ასე რომ, დიდი გასაჭირი უდგას ქართულ სოფელს, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ყველა სოფლის მოსახლეობა შემცირდა, ზოგი სოფელი კი გაუკაცრიელდა. 2002 წელს საქართველოში 28 დიდი სოფელი აღირიცხა, რომელთა მოსახლეობა 5 ათას კაცს ჭარბობდა, ამჟამად ასეთი სოფლების რაოდენობა 12-მდე შემცირდა. თუ ადრე 162 სოფელი იყო გაუკაცრიელებული, 2014 წელს ასეთი სოფლების რაოდენობამ 223 შეადგინა. 15 კაცი 157, ხოლო 610 კაცი 98 სოფელში ცხოვრობს. 2002 წელს 905 სოფელში 100 კაცამდე ცხოვრობდა (მთელი სოფლების 24,7%), ამჟამად 1306 სოფელში ცხოვრობს 100 კაცამდე (36,0%). ამ სოფლებში მცხოვრებნი ძირითადად მოხუცები არიან. უაღრესად ძნე-

ლია ასეთ მცირერიცხოვან სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება – გზის, წყლისა და გაზის გაყვანა, მცხოვრებთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. ისიც სათქმელია, რომ მეტად რთული პროცესია ამ 495 ათასი სოფლის მცხოვრების ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრება, მათი ადაპტაცია, გარკვეულწილად თავისუფლების დაკარგვა, უმეტესად ქალაქური ცხოვრების ყაიდაზე გადასვლა.

შობადობაზე და საერთოდ დემოგრაფიულ პროცესებზე საგრძნობ გაკლენას ახდენს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რომელიც ქვეყანაში და ცალკეულ რეგიონებში უაღრესად დეფორმირებულია. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში თანდათანობით მცირდება ფერტილური ასაკის მოსახლეობა და იზრდება 60 წელს გადაცილებულთა წილი.

დემოგრაფიული დაბერების პროცესის დასახასიათებლად მრავალი სკალაა შემუშავებული, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია შემდეგი სკალა: თუ 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა მთელ მოსახლეობაში 8,0 პროცენტს აღწევს, ასეთი მოსახლეობა დემოგრაფიულად ახალგაზრდაა. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდის ზრდა დაბერების სხვადასხვა დონეს გვიჩვენებს: როდესაც 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა მთელ მოსახლეობაში 18 პროცენტს უდრის, მოსახლეობის დაბერების მაღალი დონეა, ხოლო თუ ეს მაჩვენებელი 18,0 პროცენტს აჭარბებს, უკვე მოსახლეობის დაბერების დონე ძალიან მაღალია.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების ანალიზის შედეგად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაბერების დონე არათუ ძალიან მაღალია, არამედ მოსახლეობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადაბერებულია, განსაკუთრებით ზოგიერთ რეგიონში. მთლიანად ქვეყანაში 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20,0 პროცენტს უდრის, მათ შორის, მამაკაცების – 16,5 და ქალების – 23,1 პროცენტს. ამრიგად, განსაკუთრებით დაბერებულია ქალთა მოსახლეობა, რაც იმითაა განპირობებული, რომ მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა. ამასთან, დემოგრაფიული დაბერების პროცესი ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, მკვეთრად გამოხატულია სოფლის მოსახლეობაში. ქალაქად ეს მაჩვენებელი 17,8 პროცენტს უდრის, ხოლო სოფლად – 22,9 პროცენტს. სოფლად მამაკაცებთან შედარებით (19,2%), ძალიან მაღალია ქალთა დაბერების მაჩვენებელი (26,5%). მოსახლეობის დაბერების მაღალი დონე უაღრესად მწვავე პრობლემებს წარმოშობს

სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დაბერებული მოსახლეობის მოვლის, მკურნალობის, საპენსიო უზრუნველყოფის, დაბერებული მოსახლეობის დასაქმების მხრივ და სხვ.

შობადობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის, როგორც ითქვა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობას. ამ ასპექტში არც სხვა პრობლემები უნდა დავტოვოთ ყურადღების მიღმა. ცნობილია, რომ ბავშვების 60-70% დაბადებულია 20-29 წლის ასაკში მყოფი ქალების მიერ, მათი რაოდენობა კი ქვეყანაში წლიდან წლამდე მცირდება. მაგალითად, საქართველოში 1989 წელს 20-29 წლების ასაკში იმყოფებოდა 452 ათასი ქალი, 2002 წელს – 324 ათასი, ხოლო 2014 წელს ბევრად ნაკლები – 269 ათასი ქალი. ეს იმასაც ნიშნავს, რომ პერსპექტივაში შობადობა, თუ საგანგებო ღონისძიებები არ განვახორციელებთ, დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

ცალკეულ რეგიონებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა. კერძოდ, 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 20-29 წლის 1011 ქალი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს 3-ჯერ მეტი. ამავე რეგიონში 2014 წელს 15-34 წლების ასაკში 3056 მამაკაცი და 2304 ქალი აღირიცხა, ანუ რეგიონში ამ ასაკის 752 მამაკაცით მეტი ცხოვრობდა ქალებთან შედარებით. ამრიგად, მნიშვნელოვნად დარღვეულია ყველაზე უფრო ფერტილურ პერიოდში, ანუ როდესაც ქალებს აქვთ ყველაზე მეტად ბავშვების გაჩენის უნარი, სქესთა თანაფარდობა. ამ ასაკობრივ ჯგუფებში წესით უკვე ქალები უნდა ჭარბობდნენ მამაკაცებს, აქ კი პირიქითაა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქალების ინტენსიური მიგრაციით უნდა აიხსნას.

სამხრეთ კავკასიის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დემოგრაფიული ბალანსის ცვლილება 1926-2015 წლებში (ათასი)

	1926		2002		2015	
	აბსოლუტურად	პროცენტობით	აბსოლუტურად	პროცენტობით	აბსოლუტურად	პროცენტობით
მოსახლეობის რაოდენობა სულ	5 872	100,0	15 725	100,0	16 295	100,0

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერა

მათ შორის საქართველო	2 677	45,6	4 371	27,8	3 713	22,8
აზერბაიჯანი	2 314	39,4	8 141	51,8	9 593	58,9
სომხეთი	881	15,0	3 213	20,4	2 989	18,3

მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის დაბერების მაღალი დონეც განაპირობებს. ორ ათეულ წელზე მეტია ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ბუნებრივ კლებას აქვს ადგილი.

2015 წელსაც მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღირიცხა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (473 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა), სამეგრელო-ზემო სვანეთში (399 კაცი) გურიაში (227 კაცი), იმერეთში (210 კაცი), მცხეთა-მთიანეთში (184 კაცი). კახეთში, მართალია, ამ წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღირიცხა, მაგრამ თითქმის მთლიანად ქართველებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ბუნებრივი კლება დაფიქსირდა: გურჯაანის მუნიციპალიტეტში 367 კაცით, ხოლო სიღნაღის მუნიციპალიტეტში 175 კაცით. 2015 წელს საქართველოში არსებული მუნიციპალიტეტებიდან ძირითადად ქართველებით დასახლებულ 33 მუნიციპალიტეტში (57,0%) მოსახლეობის კლება აღირიცხა (3267 კაცი). ასეთ ვითარებას, როგორც ითქვა, მოსახლეობის დაბერების მაღალი დონეც განაპირობებს. საქართველოში მხოლოდ ორ რეგიონშია მოსახლეობის დაბერების საშუალო დონე (აჭარა – 15,6%; ქვემო ქართლი – 16,0%), ერთში – საშუალო დონე (თბილისი – 17,1%), დანარჩენ რეგიონებში მოსახლეობის დაბერების ძალიან მაღალი დონეა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაირღვა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობას შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი. ეს დარღვევა ძირითადად საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. თუ ისტორიულად კავკასიაში ქართველები და საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, შემდეგში ვითარება არსებითად შეიცვალა. საკმარისია აღინიშნოს, რომ თუ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ცალკეულ წლებში 300-350 ათასით მეტი იყო აზერბაიჯანის მოსახლეობაზე, 1965 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობა გათანაბრდა და 2015 წელს, სულ რაღაც 50 წლის შემდეგ,

აზერბაიჯანის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობას 5 880 ათასით ჭარბობდა. ისიც აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპი არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ კავკასიაში საგრძნობლად დაბალია მხოლოდ საქართველოში. კერძოდ, 1926-2015 წლებში საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპმა 138,7% შეადგინა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ჩათვლით – 148,8%), სომხეთში – 339,2%, ხოლო აზერბაიჯანში – 441,6%.

დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები მეტად სახიფათო ტენდენციებს იღებს ჩვენი ქვეყნისთვის. ბოლო ხანს დემოგრაფიული ბალანსი სამხრეთ კავკასიაში და საერთოდ მთელ კავკასიაში იმდენად დაირღვა, რომ თუ ასე გაგრძელდა და სახელმწიფომ მთელი ერის ხელშეწყობით მეტად საგანგებო ღონისძიებები არ განახორციელა, და მინდა, ამას ხაზი გავუსვა, ამ მიწაზე, სადაც გვიშრომია, მოსულ მტერთან სისხლი დაგვიღვრია, საკაცობრიო მნიშვნელობის მატერიალური და სულიერი კულტურაც შეგვიქმნია, აღარ დარჩება „ხსოვნის მქონე შთამომავლობა“. დეპოპულაცია, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა მცირდება, ნიშნავს მოსახლეობის თვითმკვლელობას, ქრება ერი და მისი კულტურა. დიან, თუ ასე გაგრძელდა, სულ რაღაც ორ-სამ ათეულ წელიწადში საქართველო გაუკაცრიელდება, რადგან მოსახლეობის პერმანენტული შემცირების პირობებში უფრო სწრაფად მიმდინარეობს დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუარესება. ერმა ჯერ კიდევ ვერ გაითავისა საშინელი დემოგრაფიული საფრთხე, რომელიც ბოლო ორ ათწლეულში და განსაკუთრებით ნაციონალების ბატონობის პერიოდში დაგვემუქრა, როდესაც ერი მატერიალურად და სულიერად გაღარიბდა, ბევრს კიდევ მორალური სიკვდილი ფიზიკურ სიკვდილზე ადრე დაუდგა. ასეთ პირობებში სახეზეა ოჯახის ინსტიტუტის კრიზისი, ბავშვთა ყოლისადმი ზერეულე დამოკიდებულება.

საქართველო ამჟამად დემოგრაფიულ კატასტროფას განიცდის. ამ კატასტროფის ერთ-ერთი შემადგენელია სამხრეთ და საერთოდ კავკასიაში მისი მოსახლეობის წილის განუწყვეტელი შემცირება. 1926 წელს საქართველოს მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 45,6 პროცენტს შეადგენდა, 2002 წელს – 27,8 პროცენტს, ხოლო 2015 წელს – 22,8 პროცენტს. სამაგიეროდ აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი ამავე პერიოდში ამაღლდა 39,4 პროცენტიდან 58,9 პროცენტამდე, თითქმის მთელი 20 პროცენტული პუნქტით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლე-

ობის ფონდის მონაცემების საფუძველზე აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 2050 წელს 62 პროცენტს მიაღწევს, მაგრამ, ფაქტობრივად, მან ამ მაჩვენებელს 2015 წელს თითქმის მიაღწია. თუ დემოგრაფიული პროცესები ასე გაგრძელდა 2050 წლისათვის აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება და შეიძლება სამხრეთ კავკასია მონოეთნიკური რეგიონიც გახდეს. ამიტომ საქართველო დიდი გამოცდის – სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის წინაშე დგას და არ მესმის, როგორ შეიძლება ერმა ასე გულდამწევიდებით უყუროს ამ განსაცდელს.

აღრეც მრავალჯერ მითქვამს და ქართველ დემოგრაფებსაც აღუნიშნავთ, რომ საჭირო იყო, დროზე გვეზრუნა მწვავე დემოგრაფიული პრობლემების გადასაჭრელად, თორემ შემდეგში გაცილებით მეტი სახსრები დაგვეჭირდებოდა და ეფექტიც ნაკლები იქნებოდა. ამჟამად სწორედ ასეთი, მაგრამ გაცილებით რთული ვითარებაა. მხოლოდ საზოგადოებრივმა სოლიდარობამ, მთელი ერის ძალისხმევამ შეიძლება მოიტანოს სასურველი შედეგი.

საქართველოში, თავისი ხანგრძლივი და მშფოთვარე ისტორიის განმავლობაში, მეზობელი თუ საკმაოდ შორეული ქვეყნების შვილებსაც უცხოვრიათ. ზოგჯერ ამ პროცესს იმდენად მასშტაბური ხასიათი მიუღია, რომ სახიფათო გამხდარა ქვეყნის არსებობისთვის. შემთხვევით არ უთქვამს „ნათესავით ქართველთას“ მოჭირნახულეს, მე-8 საუკუნის მოღვაწეს იოანე საბანიძეს: „აღვერიებით ერსა უცხოსა, სჯულისა ჩვენისა მაგინებელთა“. შემდეგ საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში სხვა ერის შვილებიც შეგვიფარებია, ზოგიც ძალით დასახლებულა ჩვენს მიწაზე, მაგრამ გადაგვარების საფრთხისათვის თავი მაინც დაგვიღწევია. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ მე-19 საუკუნემდე საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, იმ პერიოდის კი, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეყუნოდა“, საქართველოში სხვადასხვა ერის შვილებიც დასახლდნენ. ზოგიერთი ერი ჩვენს ქვეყანაში თავის კოლონიებსაც აარსებდა. მიუხედავად ამისა, ეროვნული შუღლი არ ჩამოვარდნილა, პირიქით, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ და სხვა ერის შვილებს თავიანთი ხიბლიც შეჰქონდათ საერთო ცხოვრების ფერხულში. მეოცე საუკუნის დასასრულს, გლობალური არასტაბილური პოლიტიკის ფონზე, რომელიც უშუალოდ საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ გამოიწვია, სეპარატისტულმა და გარეშე ძალებმა სისხლისმღვრელი ეთნოკონ-

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერა

აღმოსავლეთ საქართველო აბსოლუტურად	397	468	875	1636	1894	1969	1902
პროცენტობით	32,6	35,0	40,2	47,7	50,0	53,8	59,0
დასავლეთ საქართველო აბსოლუტურად	822	869	1299	1797	1894	1692	1323
პროცენტობით	67,4	65,0	59,8	52,3	50,0	46,2	41,0

1897 წელს რუსეთის იმპერიის მაშინდელ საზღვრებში 1 352,5 ათასი ქართველი ცხოვრობდა, მათ შორის კავკასიაში – 1 350,3 ათასი, ხოლო საქართველოში – 1 336,7 ათასი. კვლავინდებურად ქუთაისის გუბერნიაში თითქმის 2-ჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა (868,8 ათასი), ვიდრე თბილისის გუბერნიაში (467,6 ათასი). ამრიგად, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველები, შეიძლება ითქვას, მთლიანად თავის ქვეყანაში ბინადრობდნენ (98,8%). თითქმის მე-20 საუკუნის დასასრულამდე დასავლეთ საქართველოში მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ 1989 წელს გათანაბრდა მათი რაოდენობა – როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში 1 894,0 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად საქართველოში 3 224 504 ქართველი ცხოვრობდა, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ. მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1989 წელთან შედარებით (16,7 პროცენტული პუნქტი). ამავე დროს 2014 წელს ქართველების რიცხოვნობა 1989 წელთან შედარებით 562 889 კაცით შემცირდა, ხოლო 2002 წელთან შედარებით – 436 669 კაცით. ამდენად, ქართველების რაოდენობა ძირითადად 2002-2014 წლებში შემცირდა. ორ უკანასკნელ აღწერათაშორის პერიოდში ქართველების რაოდენობა ყველა რეგიონში შემცირდა თბილისის გარდა (მოიმატა 86 092 კაცით). განსაკუთრებით შემცირდა ქართველების რაოდენობა იმერეთის (159 202 კაცი), სამეგრელოს (130 952 კაცი), შიდა ქართლისა (38 903 კაცით) და გურიის (27 674 კაცით) რეგიონებში.

საქართველოს მთელ მოსახლეობაში, 2014 წლის აღწერამდე, ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით სომხები ცხოვრობდნენ. იმის გამო, რომ სომხები დიდი რაოდენობით წავიდნენ საქართველოდან (1989 წელთან შედარებით სომხები შემცირდნენ 269 109 კაცით, ხოლო 2002 წელთან – 80827 კაცით), მეორე ადგ-

იღზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აზერბაიჯანელებმა გად-
მოინაცვლეს. ამჟამად საქართველოში 233 ათასი აზერბაიჯანელი და
168 ათასი სომეხი ცხოვრობს. განსაკუთრებით შემცირდნენ საქართ-
ველოში მცხოვრები რუსები – 1989 წელთან შედარებით 315 ათასი
და 2002 წელთან შედარებით 41 ათასი კაცით. რუსების რიცხოვნობა
ამჟამად მხოლოდ 26 ათას კაცს უდრის და მათი ნახევარი თბილისში
ცხოვრობს. ძირითადად თბილისში ცხოვრობენ იეზიდები და ქურთე-
ბი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში
232 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ხოლო დასავლეთში – 545,
სომხები კი შესაბამისად – 160 ათასი და 8 ათასი.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა
1989, 2002 და 2014 წლებში

	1989		2002		2014		ცვლილება 2014 წელს 1989 წელთან შედარებით	ცვლილება 2014 წელს 2002 წელთან შედარებით
	absოლუტურად	%	absოლუტურად	%	absოლუტურად	%		
საქართველო სულ	5 400 841	100,0	4 371 534	100,0	3 713 804	100,0	-1 687 037	-657 731
მათ შორის ქართველი	3 787 393	70,1	3 661 173	83,8	3 224 504	86,8	-562 889	-436 669
აზერბაიჯანელი	307 556	5,7	284 761	6,5	233 024	6,3	-74 532	-51 737
სომეხი	437 211	8,1	248 929	5,7	168 102	4,5	-269 109	-80 827
რუსი	341 172	6,3	67 671	1,5	26 453	0,7	-314 719	-41 218
ოსი	164 055	3,0	38 028	0,9	14 385	0,4	-149 670	-23 643
იეზიდი*	-	-	18 329	0,4	12 174	0,3	-	-6 155
უკრაინელი	52 443	1,0	7 039	0,2	6 034	0,2	-46 409	-1 005
ქისტი*	-	-	7 110	0,2	5 697	0,2	-	-1 413
ბერძენი	100 324	1,9	15 166	0,3	5 544	0,1	-94 780	-9 622

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერა

ებრაელი	24 795	0,5	3 772	0,1	1 405	0,0	-23 390	2 367
დანარჩენი	55 892	1,0	19 557	0,3	16 482		-169 410	-3 075

* 1939 წლის აღწერის შემდეგ იეზიდები აღირიცხებოდნენ ქართველთა ერთად. 2002 წლის აღწერის დროს ისინი ცალკე გამოიყვანნენ იეზიდთა ცენტრის „რაზიბუნის“-ის მოთხოვნით.

* 2002 წლის აღწერამდე ქისტები „დანარჩენი ეროვნებებიდან“ არ გამოიყოფოდნენ.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ჩვენი მსჯელობა უფრო სრული რომ იყოს, შემდეგიც უნდა ითქვას. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის 1897 წელს ჩატარებულ აღწერის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ქართველები მთელი მოსახლეობის 89,9 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 49,1 პროცენტს. 2014 წელს თბილისში ქართველები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 90,0 პროცენტს, აჭარაში – 96,0 პროცენტს, იმერეთში – 99, 3 პროცენტს, გურიაში – 98, 1 პროცენტს, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 99,3 პროცენტს, კახეთში – 85, 1 პროცენტს, მცხეთა-მთიანეთში – 94, 5 პროცენტს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 99,7 პროცენტს, სამცხე-ჯავახეთში – 48, 3 პროცენტს, ქვემო ქართლში – 51, 3 პროცენტს, შიდა ქართლში – 94, 7 პროცენტს.

2014 წელს საქართველოში 3 097,6 ათასი კაცი (83, 4%) მართლმადიდებელი იყო, 398,7 ათასი (10,7%) – მაჰმადიანი, 109 ათასი (2, 9%) სომხურ-სამოციქულო სარწმუნოებას აღიარებდა, კათოლიკე იყო 19,2 ათასი (0,5%), იელოვას მოწმე – 12,4 ათასი კაცი (0,3%) და სხვა აღმსარებლობას 13,9 ათასი კაცი (0,4%) მისდევდა. საქართველოს 19,1 ათასი მცხოვრები (0,5%) არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებდა და, ფაქტობრივად, ათეისტი იყო. წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით აჭარის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევართა წილი, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. კერძოდ, 2002 წელს აჭარაში მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებდა 115 161 კაცი (30,6%), ხოლო 2014 წელს – 132 852 კაცი (40,0%). განსაკუთრებით გაიზარდა ეს მაჩვენებელი ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალები ვერ ახდენენ სასურველი რაოდენობის ბავშვების

გაჩენის რეალიზაციას და ამჟამად, ფაქტობრივად, მათ სასურველ ბავშვებზე ბევრად ნაკლები ბავშვი ჰყავთ. შობადობის შემცირების შედეგად სულ უფრო იზრდება ერთ და ორბავშვიანი ოჯახების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. ისმება კითხვა, მაინც რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში? სხვადასხვა ადამიანი კითხვაზე, თუ რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში, სხვადასხვაგვარად პასუხობს იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, განათლება, რომელ რელიგიურ მიმდინარეობას აღიარებენ, რამდენი წლისანი არიან და სხვ.

როგორც მშობლების, ისე ბავშვების უმეტესობისთვის, უმჯობესია, თუ ოჯახში პატარას ჰყავს თუნდაც ერთი ძმა ან და. ბევრიც სამბავშვიანი ოჯახებს აძლევს უპირატესობას, მაგრამ ბევრი ოჯახი ამჟამად ერთი ბავშვით იფარგლება. საერთოდ, შობადობის ოპტიმალური დონის პირობებში ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ოჯახისა და საზოგადოების ინტერესები. ვერავის ვერ დაეაძღვებთ მეტი ბავშვის ყოლას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, თავს ვერ მოვახვევთ მათთვის მიუღებელი ოჯახური ქცევის ნორმებს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ასეთ პირობებში დაჩქარდეს დეპოპულაციის პროცესი. როდესაც გამოკვლეულია დემოგრაფიული კრიზისი, რომელმაც უდავოდ ტრაგიკული ფორმა მიიღო და უკვე საქმე ეხება მთელი საზოგადოების, ქვეყნის არსებობას, შეიძლება შობადობის წახალისების, ამადლების აქტიური პოლიტიკა გავატაროთ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რომელიც მეტად დადებით შედეგს ორ ათეულ წელიწადს მაინც მოგვცემს და ხანგრძლივ პერიოდშიც გარკვეული დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, პერსპექტივაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ჯერ შევანელოთ უარყოფითი დემოგრაფიული პროცესები და შემდეგ ვიზრუნოთ მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებაზე. მყისიერად დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, თუკი ყოველი ქალი შობს 10-12 ბავშვს მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც მის საშუალო ნაყოფიერებას უდრის. როგორც ცნობილია, ქალების ფერტილური პერიოდი (15-49 წლების ასაკი), როდესაც მათ აქვთ ბავშვების გაჩენის უნარი, 35 წელს შეადგენს, რეპროდუქციული პერიოდი (განისაზღვრება დაქორწინების ასაკისა და უკანასკნელი ბავშვის გაჩენის

ასაკს შორის სხვაობით) გაცილებით ნაკლებია ფერტილურ პერიოდზე და საქართველოში საშუალოდ 6 წელს უდრის.

ამჟამად, დღევანდელი ცხოვრების წესის პირობებში ბუნებრივი შობადობის მაქსიმალიზაცია, როდესაც ბავშვთა შობის ნებელობით შეზღუდვას ადგილი არა აქვს და ბავშვების შესაძლებელ რაოდენობას აჩვენებს, არც არის საჭირო. საქართველოში რომ ყოველმა ქალმა 10-12 ბავშვი, ან თუნდაც 6-8 ბავშვი გააჩინოს, ქვეყანა ეკონომიკურად გაჩნაგდება, არნახულად გაუარესდება ცხოვრების ხარისხი, დუნჭირ ცხოვრებას თავს ვერ დაუვალწევთ, კიდევ უფრო გაიზრდება მოკვდაობა, მიგრაციული პროცესები. მოხდება „ტენიების გადინება“ ისეთი სფეროებიდან, როგორცაა სახელმწიფო აპარატი და სამეწარმეო საქმიანობა, განათლება. საზღვარგარეთ გაიზრდება იმ ადამიანების ნაკადი, რომლებსაც შეუძლიათ ცხოვრების სიმძლეეებთან ბრძოლა. ქვეყნიდან წავა განათლებული და შემოვა დაბალი განათლების დონის, სხვა კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. რაც ასევე მთავარია, საჭირო გახდება სულ მცირე დროში 4-6-ჯერ მეტი საბავშვო ბაღების, სკოლების, ბავშვთა და არა მარტო ბავშვთა საავადმყოფოების აშენება, სურსათის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოება, შემდეგ კიდევ დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა, რაც შეუძლებელია. ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაწვდება მხოლოდ ბავშვთა საჭიროებების ნორმალურ დაკმაყოფილებას.

უძძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა, გავარკვიოთ, თუ რამდენი ბავშვი უნდა გააჩინოს ქალმა მოსახლეობის გაზრდისათვის ან მოსახლეობის გაფართოებული გამრავლებისათვის. ერთი შეხედვით, თუ ქალი აჩენს ორ ბავშვს, იგი ანაზღაურებს მშობელთა თაობას და ხდება თაობათა ერთი და იმავე რაოდენობით გამრავლება. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ყოველი ქალი გააჩენს ორ ბავშვს, ასეთი ერი დიდი ხნის შემდეგ ამოწყდება. და თუ ქვეყანაში სხვა, რომელიმე ერის წარმომადგენლები შედარებით მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან, ვთქვათ, ყოველი ქალი სამ და მეტ ბავშვსაც კი აჩენს, ამ შემთხვევაში შედარებით დიდი ხნის გავლის შემდეგ ტიტულოვანი ერის (რომელმაც სახელი მისცა ქვეყანას) წარმომადგენლები უმცირესობაში მოექცევიან.

ყოველი ქალის მიერ ორი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები. ყველა ცოცხლად დაბადებული გოგონა ვერ მიაღწევს ნაყოფიერების ასაკს, არსებობს უნაყოფო ქორწინებები,

მათ შორის ნებაყოფლობითი უნაყოფობა, როდესაც ქალებს არ სურთ ბავშვების ყოლა, ქალების გარკვეული რაოდენობა საერთოდ არ ქორწინდება თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამასთან, დედების მიერ ბავშვთა გაჩენის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ქორწინების შეწყვეტა – დაქვრივება ან განქორწინება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობით გამრავლებისთვის საჭიროა, ყოველმა საქორწინო წყვილმა გააჩინოს 2,6 ბავშვი, ხოლო ყოველმა ქალმა – დაახლოებით 2,2 ბავშვი. წინა წლებში ყოველი ქალი საშუალოდ აჩენდა 1,5-1,7 ბავშვს და მშობლების ანაზღაურება ხდებოდა მხოლოდ 68-78 პროცენტით. ამდენად, ყოველი ქალის მიერ სამი და მით უმეტეს 4 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსახლეობის გაფართოებული გამრავლება, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის.

ამრიგად, მთავარია, სახელმწიფომ და მთელმა ერმა იზრუნოს იმისათვის, რათა ყოველმა ქალმა გააჩინოს მესამე ბავშვი. სამშვიდობო ოჯახი უნდა გაზდეს ჩვენი ცხოვრების ნორმა. განსაკუთრებით მესამე ბავშვის სტიმულირების აუცილებლობის შესახებ შეიძლება ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ. 2015 წელს საქართველოში 22644 მეორე ბავშვი დაიბადა, ხოლო რიგით მეხუთე და შემდეგი ბავშვები – 718. თუ ისინი თითო ბავშვს კიდევ გააჩენენ, მესამე ბავშვის დაბადებათა რაოდენობა 22644 ბავშვით გაიზრდება, ხოლო მეხუთე და მეტი ბავშვებისა – 718 ბავშვით. ეს მაგალითი ხანგრძლივ პერიოდზე გაანგარიშებით კიდევ უფრო ცხადყოფს ყოველი ქალის მიერ მესამე ბავშვის გაჩენის საჭიროებას.

1992-2015 წლებში ანუ 24 წელიწადში დაბადების რიგითობის მიხედვით ხუთი და მეტი ბავშვი გააჩინა 15090 დედამ, ხოლო მხოლოდ მეორე ბავშვი – 439 143 დედამ. თუ დავუშვებთ, რომ ეს 15090 დედა, რომლებიც, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ იმყოფებიან ფერტილურ ასაკში და აქვთ მომდევნო რიგითობის ბავშვის გაჩენის უნარი, კიდევ ერთ მომდევნო ბავშვს გააჩენენ, მაშინ დამატებით 15090 ბავშვი დაიბადება, ანუ საშუალოდ წელიწადში 628 ბავშვი. ანალოგიურად, დედებმა, რომლებმაც ამ 24 წელიწადში უკვე გააჩინეს 439 143 მეორე ბავშვი და გადაწყვიტეს, გააჩინონ მომდევნო მესამე ბავშვი, მაშინ ასეთ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოს მოსახლეობას 439 143 ბავშვი შეემატება, ანუ საშუალოდ წელიწადში 18 298 ბავშვი, რაც საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივად გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. რა თქმა უნდა, ქალების ნაწილი

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერა

აჩენს მესამე შვილს, მაგრამ ქალების დიდი ნაწილი ორი ბავშვის ამარა რჩება. ნათელი ხდება, ერის გამრავლებისთვის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მესამე ბავშვის დაბადების სტიმულირებას.

ჩვენი განსახილველი პრობლემა დასრულებულად არ ჩაითვლება, თუ შემდეგიც არ ითქვას: ბოლო ორი მოსახლეობის აღწერათმორისი პერიოდი (2002-2014 წლები) 12 წელიწადს მოიცავს. აქედან ერთი წელი ხელისუფლების სათავეში მოქალაქეთა კავშირი იყო, 9 წელი – ნაციონალური მოძრაობა, ხოლო ორი წელი – ოცნება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისედაც მძიმე დემოგრაფიული ვითარება კატასტროფის პირზე მიიყვანა ნაციონალურმა მოძრაობამ, რასაც კონკრეტული სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემები თვალნათლივ ადასტურებენ. საკმარისია ითქვას, რომ 30 ათასამდე პატიმრისა და თითქმის 350 ათასი პრობაციონერის არსებობის შედეგად, მიაზლოებითი გაანგარიშებით, 40 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ერთი წლის განმავლობაში იბადება ქვეყანაში.

დასასრულ, ერთი მთავარი დემოგრაფიული მოვლენის შესახებაც უნდა აღინიშნოს: 2002-2014 წლებში შემოსულებს გასულებმა გადააჭარბეს 759823 კაცით. ამასთან, იმიგრანტთა რაოდენობა, აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 5,0 პროცენტია, ანუ 185 690 კაცი. მაშინ – 2002-2014 წლებში – საქართველოდან საზღვარგარეთ წავიდა და იქ ერთ წელზე მეტია ცხოვრობს 574133 კაცი.

